

დიმიტრის დიმიტრიადისი

ცივილიზაცია

კოსმიური ტრაგედია

ფრანგულიდან თარგმნა ბადრი თევზაძემ

მოქმედი პირნი:

პირველი ქალი

მეორე ქალი

მესამე ქალი

ეგოსი

მასწავლებელი

ბავშვები

მედეა

იაზონი

კრეონი

გლავკი

მაცნე

ბიძა

[კორინთოს სასახლის წინ]

პირველი ქალი_ნეტა, რას აპირებს ახლა?
მეორე ქალი_შურისძიებას.
მესამე ქალი_შეძლებს ამას?
ბიძა_მან ყველაფერი სრულყოფილად დაგეგმა,
თავად ასე თქვა და მისი მჯერა.
არვინ დარჩება დაუსჯელი,
არვის დაინდობს მისი რისხვა,
უპირველესად და სხვებზე მეტად
დაიტანჯება იაზონი,
რადგან სასტიკად მოექცა
იმ ქალს,
ვინც ყველაფერი მას მიუძღვნა
და ის კი ტოვებს სხვა ქალის გამო,
რომელზეც ამბობს, რომ უყვარს იგი...
სიყვარული... სიყვარული...
ის ძალაუფლებას ეძებს და არა სიყვარულს.
სიყვარული... მას მედეამ უძღვნა,
მან კი უღალატა მის სიყვარულს
კორინთოს ტახტის მოსაპოვებლად.
არც შვილებზე უფიქრია,
თუმცა ამბობს, რომ ამ ყველაფერს მათთვის აკეთებს.
მედეამ ყველაფერი შეიტყო
და როგორც მე ვიცი, თავიდან ბოლომდე
ურყევად განახორციელებს თავის გეგმას,
თავდაპირველად გლავკის მოაკვდინებს.
ასე მითხრა,
მერე კრეონს
და მერე
ამის თქმაც კი არ შემძლია,
იაზონი უნდა ჩაადოს ყველაზე დიდ სატანჯველში,
რაც კი ოდესმე ადამიანს გამოუცდია,
მთელი მისი ხელოვნება ჩადგება
შურისძიების სამსახურში
და რამდენიმე საათში ყველაფერი დამთავრდება.
მესამე ქალი_მერე კი სად წავა?
ის აქ ვედარ დარჩება.
ბიძა_ ის წავა, თუმცა ჯერ არ იცის, სად,
მაგრამ წასვლას აპირებს. ასეა საჭირო.
პირველი ქალი_ მერე შენ?
ბიძა_ აქამდე ყველაფერში მის მხარეზე ვიყავი,

ახლა აღარ ვიცი,
ბევრი რამ შეიცვალა ჩემში ამ ქალის გვერდით.
მე მას მივყვები,
მაგრამ არ შემიძლია მუდამ და ყველაფერში მივყვე,
განსაკუთებით ამ ბოლო საათებში,
მან ძალიან შორს შესტოპა.
მეორე ქალი_ ვინ მოდის?
[შემოდის ეგეოსი]
მიძა_ ეგეოსი, ათენის მეფე,
კარგი ნიშანია,
იქნებ, მხსნელად მოგვევლინოს.
სალამი ეგეოს, პანდიონის ძეო!
ეგეოსი_ მოგესალმები, დიაცო,
ვხედავ, რომ მიცნობ.
მიძა_ დიახ,
ჩემი ქალბატონი მედეასაგან.
ეგეოსი_ მედეა? ის აქ არის?
მიძა_ დიახ, მაგრამ შენ რომ იცოდე...
ეგეოსი_ რა დაემართა,
რა ხდება?
მიძა_ ეგეოს, მისი ქმარი არაკაცია.
ეგეოსი_ გარკვევით მითხარი!
მიძა_ იაზონმა ის დაამცირა
და სხვა ქალი შეირთო.
ეგეოსი_ ამგვარი რამე როგორ გაბედა?
მიძა_ მან შეიყვარა გლავკი,
კორინთოს მეფის, კრეონის ასული [შემოდის მედეა]
აჰა, ის თავად გაიმბობს.
მედეა_ მე აღსასრულს მივუახლოვდი,
სიცოცხლის ოდნავი ხალისიც აღარ დამრჩა.
ყველაფერი, რასაც სხვებისთვის ვგეგმავ,
ჩემს წინააღმდეგაც უნდა წარვმართო,
მხოლოდ სიკვდილი დათრგუნავს
სიყვარულის ტკივილს...
სიყვარულის ტკივილს...
ეს აუტანელი ტკივილია.
ის, რაც გამაჩნდა, აღარ მაქვს უკვე.
მე ვარ ქალი და ამავედროულად აღარ ვარსებობ
იმ კაცის გარეშე, ვინც მიყვარს
ყველა ცოცხალ არსებაზე მეტად,
ყველა სულდგმულზე მეტად,
ჩვენ, ქალები ყველაზე მეტად ღირსნი ვართ შეწყალებისა.
მე დავკარგე ჩემი სამშობლო,
ვარ ერთი ობოლ-ტიალი,
რომელსაც არც დედა, არც ძმა,
არც ნათესავი არ გააჩნია.

არავის ძალუმს ჩემი შველა.
ეგეოსი_ ამიტომაც ვარ მე აქ, მედეა!
მედეა_სალამი, ეგეოს! აქ საიდან მოგვევლინე?
ეგეოსი_ აპოლონის ორაკულიდან.
მედეა_რის საკითხავად იყავი?
ეგეოსი_ როგორ უნდა მეყოლოს შვილები.
მედეა_ ჯერაც არა გყავს?
ეგეოსი_ არა, მაგრამ უკვე აღარც მინდა.
მედეა_მერე რა გითხრა ღმერთმა?
ეგეოსი_აღარ არიან უკვე ღმერთები, მედეა!
მედეა_ რა? შენ სერიოზულად არ ლაპარაკობ?
ეს რა თქვი?
ეგეოსი_ მე მუდამ სერიოზულად ვლაპარაკობ,
სერიოზულ ამბებზე.
ის, რაც ხდება, იმის დაჯერება
არავის შეუძლია, მაშინაც კი,
თუ ყველაფერს ჩემსავით საკუთარი თვალებით იხილავს.
მედეა_ რა იხილე?
ეგეოსი_ აღარაფერი,
ჭიპი ქვეყნიერებისა მკვდარია.
ორაკულის ადგილას
მხოლოდ ნანგრევები და ფერფლია...
და სიჩუმე...
უსასრულო, სრული სიჩუმე...
არავითარი ხმა არ ისმის.
ჩვენ ვნახეთ პითია,
თავდაყირა დადიოდა და ყვიროდა:
„ დაფნა, დაფნა!“
და მერე მიემართებოდა ფედრიადების უფსკრულისაკენ
გადასაჩეხად.
ფებუსის ქანდაკება თავმოგლეჯილი და დამსხვრეულია,
ყველა წყარო დაშრეტილია,
ამბობენ, რომ იგივე მოხდა ან ხდება
სხვა ორაკულებთანაც
მთელ საბერძნეთში.
შენ რომ ჩემსავით მოხვედრილიყავი დელფოსში,
ახლაც იქ იქნებოდი
შემრწუნებული და თავზარდაცემული,
კითხვებით სავსე და უპასუხოდ დარჩენილი.
მომლოცველთა ბრბოები გაოგნებულნი იდგნენ
სიკვდილის ამ წარმოდგენის წინაშე.
ერთნი ტიროდნენ,
მეორენი ბრაზობდნენ და ილანძლებოდნენ,
ზოგნი ულამაზეს ტამარს შეესივნენ,
ყველაფერს ქელავდნენ
და ჩემსავით ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ.

ყველაფერი ირყეოდა და იმსხვრეოდა,
იდუმალ ძალას აღარაფერი დაეტოვებინა ზეზე,
არავინ იცის,
რა,

როგორ, საიდან, რატომ?
ამ გასაოცარმა განადგურებამ
ყველანი გაგვაქვავა.
მედეა_ მაშ, ღმერთები,
სამყარო,
ჩვენ, ბავშვები...

ეგეოსი_ მე უკვე აღარ მჭირდება ბავშვები.
მედეა_ არა, ეგეოს, ნუ იტყვი ამას, შენ ისინი გჭირდება ისე, როგორც არასდროს.

ეგეოსი_ აღარ არიან ღმერთები, რომ ისინი მიბოძონ.

მედეა_ მე გიბოძებ შენ მათ

ეგეოსი_ არა, არა! სამყარო ღმერთების გარეშე დარჩა.

ის, რაც მე ვიხილე, აღარ არის სამყარო,
სამყარო, მედეა, ამიერიდან იქნება ისე,
როგორც შენ ხარ შენი ქმრის გარეშე. მე შენ გისურვებ...

მედეა_ მოიცადე, ასე ნუ წახვალ. მე მიინდა გთხოვო, გევედრები.

არა, მე შენთან ერთად არ მოვდივარ.

გთხოვ, მერე შემიფარე შენთან,

როცა აქ მოვრჩები ყველაფერს.

ეგეოსი_ გავიგე,

მე არ ვიცი, რას ამზადებ,

მაგრამ მგონია, რომ მიზეზი გაქვს

და მე შენს მხარეს ვარ.

მედეა_ აღმიტყვი, რომ შემიფარებ.

ეგეოსი_ აღგიტყვამ.

მედეა_ მეც ჩემი მხრივ დაგეხმარები,

მე შევძლებ, რომ შეგაყვარო ბავშვები,

რომ კვლავ ისურვო მათი ყოლა

და იყოლიო. მე ვიცი ამის წამლები,

მაქვს სიყვარულის წამლები უნაყოფოთათვის.

ეგეოსი_ არავისა აქვს შენებრი

ჯადოსნური ძალმოსილება,

ეს ცნობილია მთელ საბერძნეთში.

მე მჯერა მათი სრულყოფილების

და ჩემი მხრიდან მე გპირდები,

მოგექცევი ისე კაცთმოყვარულად,

როგორც ჯერ არავინ მოგქცევია.

ჩემთან გექნება თავშესაფარი,

რასაც შენ ითხოვ.

იქნებ ეს არის ერთადერთი,

რაც გვრჩება ადამიანებს...

ადამიანი_ ადამიანისთვის,

ადამიანი...

მედეა_ დაიფიცე!

ეგეოსი_რაზე?

მედეა_მე მინდა, რომ ამ წუთიდან
იყო თავდები.

ეგეოსი_შენ არ მენდობი?

მედეა_დიახ, გენდობი,
მაგრამ კრეონი ჩემი მტერია.
თავისი სიმდიდრითა და ძალაუფლებით
მას შეუძლია, გადაგარწმუნოს
თავის მეგობრად გაქციოს
და შენ ველარ დაიცავ შენს პირობას.

ეგეოსი_ ვფიცავ!

მედეა_ რას?

ეგეოსი_ რაღა დაგიფიცო, იმის შემდეგ, რაც ვნახე?

მედეა_დაიფიცე მამა ჩემი მამისა, მზე დაიფიცე!

ეგეოსი_ მზე? დიახ, მე მას ვხედავ,
ის ახლაც ცაზეა.

ვფიცავ!

მედეა_ მადლობას გიხდის.

ეგეოსი_არ დაივიწყო ის ყველაფერი,
რაც მე გიამბე.

მედეა_მე ის დავივიწყე.

ეგეოსი_მაშ, გისურვებ,
რომ არაფერი მოხდეს ისეთი,
რაც მათ მოგაგონებს,
გისურვებ,რომ არასდროს დაინახო და გაიგონო,
რაც მე გავიგონე და ვიხილე.
ამის დავიწყებას ვერ შევძლებ.

არც ის ვიცი,

ათენში რა დამხვდება. მე მეშინია,
ვაითუ არაფერი დამხვდეს ადგილზე,
მხოლოდ ის მისურვე,
რომ ქალაქი დამხვდეს დაუზიანებელი,
თორემ ველარ მოგიძღვნი იმას,
რის მოცემაც შემოგფიცე.

ამ შემთხვევაში

ორმაგად უბედური ვიქნები.[ის გადის]

ბიძა_რის თქმა უნდოდა?

ყველაფერი, რაც მან თქვა, თუ სიმართლეა....

მედეა_ ეს მე არ მჯერა. ის პატიოსანია,
მაგრამ ძალიან ასაკოვანია.

როგორ შეიძლება, რომ ეს მართალი იყოს?

ამისთვის მთელი სამყაროს აყირავება
იქნებოდა საჭირო.

ასე რომ ყოფილიყო,

მთელი ქვეყნიერება დაილუპებოდა.

მხოლოდ სიგიჟე და წყვილია დარჩებოდა.

ბიძა_ შენ გინდა თქვა,

რომ მან არ იცოდა, რასაც ამბობდა?

მედეა_ ღმერთები ყველგან არიან,

ყოველივე სავსეა ღმერთებით_

ჩვენში,

ჩვენ მიღმა,

ჩვენთან ერთად. ღმერთები არასოდეს წავლენ,

დასაბამიდან და საუკუნოდ

ისინი აქ იქნებიან_

წესრიგი, წესრიგი, წესრიგი...

და ყველაფერს თავისი ადგილი ექნება.

ყველას თავისი მიუზღვება

და არაფერი შეიცვლება.

თავდაპირველად გლაგკის ვკლავ

და მასთან ერთად მამამისს,

კაცს, რომელმაც კორინთოდან განდევნა გადამიწყვიტა,

თუმცა, დამპირდა, რომ კიდევ ერთ დღეს მომცემდა,

რითაც განხორციელდება ჩემი დანაშაულებრივი გეგმა.

მას რომ სცოდნოდა, თუ რას ნიშნავს ეს დღე

მისი ქალიშვილისა

და თავად თავისი

სიცოცხლისთვის...

ბიძა_ რის გაკეთებას აპირებ?

მედეა_ ჩემი ქმრის ახალ მეუღლეს

ჩემი შვილების ხელით

გავუგზავნი უძვირფასეს მოსასხამს

და ოქროს გვირგვინს, რომელთაც

იდუმალ შხამს მოვაპკურებ.

ის მათ მოირგებს,

მალე ცეცხლი მოედება

და ჩალის კონასავით აბრიალდება,

მაშინ მამამისი მივარდება

გადასარჩენად

და თვითონაც დაიწვება,

როცა მოეხვევა მის აღმოდებულ სხეულს.

ბიძა_ შემზარავია, შემზარავი!

მედეა_ იმაზე მეტად არა,

ვიდრე დაკარგვა იაზონისა_

ჩემი სიყვარული,

ჩემი სიყვარული

არავის დატოვებს ზეზე!

ბიძა_ ნუ ამბობ ამას!

მედეა_ მე მათ დავხოცავ.

ბიძა_ როგორ შეგიძლია ეს?

მედეა_ მე მინდა,

რომ ტკივილმა გაჭყლიტოს იაზონი.
ეს ერთადერთი რამ მსურს,
მსურს, მსურს ისე ძლიერ,
რომ ვიპოვი ძალას,
რომ უშვილებოდაც დავტოვო,
მე უნდა დავხოცო ჩემი შვილები,
მე უნდა დავხოცო ჩემი შვილები!
რალა მედღეა ვიქნები,
თუ ბოლომდე არ მივიყვან
ამ მოქმედებას, ამ მოქმედებას.
ეს მე ვარ!
რალა მედღეა ვიქნები
ამის სრულყოფილად აღსრულების გარეშე?!
მე მედღეა ვარ, ის_იაზონი
და თქვენ კი_სხვანი_ის ხართ, რაცა ხართ.
ჩვენ ყველას მისჯილი გვაქვს,
ვიყოთ ის, ვინც ვართ
და ეს ბოლომდე ასე დარჩება.
ძიძა_ შემდეგ როგორღა დააღწევ თავს?
იაზონი დაგედევნება
და მისი შვილების დახოცვის გამო
დაუსჯელად არ დაგტოვებს.
ვერ გაექცევი,
შენ ხომ უცხო ქვეყანაში ცხოვრობ,
შენ უცხოელი ხარ_
ვერაფერი ვერ დაგიცავს,
როცა იაზონი და განსაკუთრებით
თავად კორინთოს მეფე
უსაშველო სიძულვილით ხდებიან
შენი მტრები.
მედღეა_ მზე,
მამა ჩემი მამისა,
გამომიგზავნის ეტლს,
რომელსაც ფრთოსანი დრაკონები გააქროლებენ
და მე წამიყვანენ ათენში,
სადაც ბედნიერად გავატარებ დარჩენილ წლებს.
ძიძა_ თუ ყველაფერი კარგად წავა...
მედღეა_ ყველაფერი კარგად იქნება.
ძიძა_ გეყოფა კი დრო ამ ყველაფრისთვის?
მედღეა_ ერთადერთი დღე საკმარისია
მთელი კაცობრიობის განადგურებისთვის.
ჩემი მოქმედებები განხორციელდება
ყველაზე სრულყოფილად.
პირველად ხომ არ უნდა იზეიმოს
გამარჯვება ჩემმა ხელოვნებამ.
ეს იქნება ჩემი აპოთეოზი, მე ეს ვიცი.

ისე დარწმუნებული ვარ ყველაფერში,
რაც ძალიან მალე მოხდება,
რომ ამაზე ფიქრიც არ მჭირდება.
ეს ისე ცხადია, თითქოს უკვე მოხდა.
ბიძა_მე ვშიშობ შენ გამო.
შენი თავდაჯერებულობა
არ მამშვიდებს.
მედეა_ სხვათა გამო გემინოდეს,
მათ გამო უნდა წუხდე.
მე მათ გავაცამტვერებ[შემოდის იაზონი]
უპირველესად კი ამას.
იაზონი_მარტივი და ადვილი იქნებოდა
შენი დარჩენა ამ ქალაქში,
სახლიც კი გექნებოდა,
თუკი დაემორჩილებოდი ხელისუფლებას,
მაგრამ შენ ირჩევ მუქარის გზას
და მეტიც, სასიკვდილო მუქარისას
და აი შედეგიც_
დევნისის ყოფა.
ჩემზე კიდევ...
გაუთავებლად ყველას ეუბნები,
რომ იაზონზე საშინელი ამქვეყნად
არავინ და არაფერია,
მაგრამ შენ გიმართლებს,
ყველა იმ საშინელებისთვის, რასაც შენ აცხადებ,
სასჯელი ქალაქიდან გაძევებაა.
მაგრამ ჩემი მადლიერი უნდა იყო,
რადგან მე ჩავაცხრე კრეონის რისხვა, თორემ ვინ იცის,
ახლა სად იქნებოდი.
ყველაფრის მიუხედავად,
მე ახლაც მიყვარხარ
და შენთვის კარგს ვისურვებ.
მოვედი რათა ფული მოგცე,
მე არ მინდა, რომ შენ და ჩემს შვილებს რამე ჩამოგერთვათ,
მაშინაც კი, როცა შენ გძულვარ,
არასოდეს ვისურვებ შენთვის სიღატაკს.
მედეა_ არარაობავ,
ჩემი ენა ვერ პოულობს
უკეთეს სიტყვას.
შენ ელაპარაკები ქალღმერთს,
მზის ასულს
და არ უჩოქებ,
არ ევედრები პატიებას,
უსირცხვილო ხარ.
როგორ ბედავ ჩემ წინაშე
ფეხზე დგომას,

მე მთის მწვერვალი ვარ,
შენ კი_ უკანასკნელი ბუჩქი,
ჩემს სინათლეს შენი დაწვა შეუძლია.
ამაზე შენ არ გიფიქრია,
მაგრამ მაინც კარგი ჰქენი, რომ მოხვედი.
გავცვალოთ ის, რაც თითოეულს გაგვაჩნია:
შენ გქონდეს ჩემი სიმწარე,
მე კი- შენი გულცივობა,
რადგან ახლა ერთადერთი სიმაღლე,
რომელიც ჩვენს შესაფასებლად გამოდგება,
სიყვარულია, ვის წინაშეც ვართ ისე თანასწორნი,
თითქოს ცოცხლები აღარ ვიყოთ.
თანასწორთა სიყვარული...
ნახე, სადამდე მივედით.
მე ხომ შენ გამო მოვკალი,
მოვკალი და ვულალატე
და შენ კი...მოლალატეც,
შენ დაწევი სხვის საწოლში,
სხვას უძღვენი შენი სხეული,
სხვის ბაგეებს აჩუქე შენი კოცნები,
სხვა სხეულს შეერწყა შენი სხეული,
სხვა გული ისმენდა ღამით
შენს ვნებიან სიტყვებს,
შენს ოხვრას,
შენ სხვის სხეულში შედიხარ,
სხვაგან ცლი შენს ცეცხლს,
შენ თავი დაკარგე, იაზონ,
შენ არც შენს ღვიძლ შვილებზე გიფიქრია.
არა, არა!
ნუ გაიმეორებ იგივე ტყუილებს.
ვინა ხარ შენ,
ის, ვინც შევიყვარე,
ის, ვინც მიყვარს,
ის, ვის გამოც გავხდი სიყვარულით გიჟი
და ყოველ წუთს მზადმყოფი ახალი სიგიჟეებისთვის?
მე შენ გიყურებ და ველარ გცნობ.
ო, ზევსო, შენ, ვინც ასწავლე ადამიანებს,
თუ რა ნიშნებით გაარჩიონ
ბაჯალლო ოქრო ყალბისაგან,
რად არ დაადე ადამიანებს
რამე ნიშანი, რომ განვასხვავოთ
ყალბისაგან ნამდვილი კაცი?
იაზონი_ შენ კი არ მიხსენ იმ მკვლელობით,
ეს აფროდიტეა, ვისაც უნდა ვუმადლოდე სიცოცხლეს.
შენ იმიტომ დამეხმარე,
იმიტომ ჩაიღინე ეს,

რომ გიჟურად შეგიყვარდი.
შენ დაიცავი ჩემი სხეული,
რადგან ის გასურდა
და გინდოდა, რომ გეგემა,
დამტკბარიყავი,
შეგესრუტა,
შეგეჭამა.
შენი ნდომით იყავ აღძრული,
ამ ჟინს მოემსახურა შენი ჯადოები.
არა, მე არ მითქვამს, რომ ეს ცუდია.
სურვილი ღმერთია ძლევამოსილი.
მაგრამ გაიგე, რომ ეს არის ჭეშმარიტება
და სხვა მხრივ ნუ გაამრუდებ.
მე შენ უფრო მეტი მოგეცი, ვიდრე შენ _მე.
არსებითად, შენი ჩამოსვლა საბერძნეთში...
ცივილიზებულ ქალაქებში...
სხვა სამყაროში...
შენ იხილე,
თუ რას ნიშნავს სამართალი,
თანასწორობა.
შენ დაინახე, თუ რას ნიშნავს ცხოვრება
კანონის პატივისცემით
და არა კანონის შიშით, რაც ადრე იცოდით.
როცა კანონის შიში ძლევამოსილია
და ღირსების გარეშე გადის ცხოვრება.
ეს განგვასხვავებს
თქვენ _არაცივილიზებულებს
და ჩვენ _ბერძნებს.
შენ აღმოჩნდი დახვეწილ სიტკბოებაში,
შენ გარშემორტყმული ხარ
ხელოვნებითა და მეცნიერებით,
პოეზიით,
მაგრამ შენ არ გესმის,
შენ არ გინდა,
შენ არ შეგიძლია გაგება.
შენ ხარ, როგორც ნადირი,
რომელიც მოვაშორე
აზიის გამოქვაბულებს.
შენი ტვინი ისე არ მუშაობს,
როგორც ჩვენი.
ეს ჩვენი ბავშვებისთვის
მოვაწყვე სამეფო ქორწინება.
არ შემაწყვეტინო!
შენ ნახავ, რა ჭკუით,
რა გათვლილი სიბრძნით ვიმოქმედე,
მე,

მე, მე, იოლკოსიდან შემოხიზნული
ცოლად ვირთავ მეფის ასულს,
არა იმ მიზეზით, რაც შენ გტანჯავს,
არა იმ მიზეზით,
რომ მე საკმარისად არ მიმაჩნია
შენს მკლავებში სიყვარულის განცდა
და მე მსურს სხვა ქალი, არამედ,
არამედ იმისთვის, რომ ჩვენ მდიდრულად ვიცხოვროთ,
რომ ჩვენი შვილები ხარობდნენ
სიმდიდრის სიამეებით,
მაგრამ შენ,
ისევე, როგორც ყველა ქალი,
ფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ
ქმარი კაბის კალთაზე გამოიბა.
სულ გვერდით გყავდეს.
მისი დაკარგვით კარგავ ყველაფერს.
თქვენ ყველანი უვარგისები ხართ.
შენ არა მარტო ველური ხარ,
არამედ მეტიც, ხარ ქალი,
რომელსაც დიადისა და კარგის
წვდომის უნარი არა აქვს.
მედეა_მინდა საწინააღმდეგო დაგიმტკიცო.
იაზონი_რა არის ეს საწინააღმდეგო?
მედეა_ შენ ამას კარგად ნახავ.
იაზონი_ შენგან მეტი აღარაფრის
ნახვა აღარ მინდა.
მედეა_მაშ, გაიქეცი,
გაგვიანდება,
ახალგაზრდა მეუღლისკენ
შენი ლტოლვა აშკარაა და ვერ იმალება,
მე ხომ მინახავხარ ამგვარად ახურებული,
შენი მამაკაცობა
მზად არის მოაწყოს
თავისი სიდიადის ალღუმში.
შენ აღძრული ხარ
მხოლოდ ქორწინებისთვის,
მაგრამ იცოდე,
ის ღმერთებს არ სურთ
და იმას, თუ რა სურთ მათ,
შენ მალე ნახავ,
ნახავ, რომ შენი ქორწინება
ქორწინება კი არ იქნება, არამედ ის,
რაც მედეას სურს.{იაზონი გადის}
მიძა_შენ ძალიან უხეში იყავი მასთან.
მედეა_ ეს სულ არაფერი იყო,
მე ვამზადებ კიდევ უფრო მეტ სიმწარეს,

რაც უმწარესია ადამიანის გულისთვის,
ადამიანის ყოფისთვის
მეტი სიმწარე შეუძლებელია.

[ის გადის]

ბიძა_სადამდე მივედით,
აქამდე როგორ მივედით?
ასე დაღუპულად
თავი არასოდეს მიგრძვნია
ყველაზე დიდი აღრეულობის დროსაც კი.
ეს ჯერ მხოლოდ წინათგრძნობაა,
თუმცა არ ვიცი, რისი.

რალაც მზადდება,
ეგეოსის სიტყვები,
მათი წარმოთქმაც კი მამრწუნებს,
მაგრამ მხოლოდ ისინი
მეჩვენება ჭეშმარიტად.

პირველი ქალი_ არა, მედეა მართალია,
იაზონის სიტყვები
გაფუყული და უაზრო იყო.

მეორე ქალი_ დაივიწყე მისი სიტყვები,
ორაკული კიდევ ერთხელ
იქნებოდა ცუდი მისთვის
და კიდევ ერთხელ რომ მიემართა ღვთისათვის,
იმავე პასუხს მიიღებდა.

მესამე ქალი_ არც მე ვიცი,
რა მოხდება,
მე გეთანხმები,
დიახ, ზოგი რამ, რაც მე არ ვიცი,
მამრწუნებს.

პირველი ქალი_ თუმცა ჩვენ,
კორინთოელი ქალები მედეას მხარეს ვართ
და გვსურს, რომ მან გაიმარჯვოს,
მაგრამ მთელი ქვეყანა ჩვენსავით არ ფიქრობს,
ქალაქი მეფის მხარეზეა,
ერთი ადამიანიც არ იქნება,
გლავკის რომ არ აღმერთებდეს,
იაზონს კი ისე აფასებენ,
თითქოს დაბადებითვე აქაური იყოს.
მაგრამ მედეა მართალია
და მან უნდა გაიმარჯვოს!

მეორე ქალი_ ის გაიმარჯვებს,
რადგან ყველა ღმერთი,
ჰეკატე, მზე მასთან არიან.

ბიძა_ინებონ ღმერთებმა!
გამარჯვების გარეშე
ის არარაობად იქცევა,

გამარჯვების გარეშე
მედეა არყოფნაში შებრუნდება.
[შემოდის მასწავლებელი მედეას შვილებთან ერთად]
აი, ბავშვებიც!

ვშიშობ,
რომ ისინი რაღაცას მიხვდნენ.
მათი თვალები...
მათი თავდაჭერა...
მათ რაღაცას მოჰკრეს ყური,
ისინი თამაშიდან ბრუნდებიან,
მაგრამ არ ეტყობათ, რომ ითამაშეს.
რაღაც ფიქრს შეუპყრია ისინი,
ვატყობ, რომ შემფოთებულები არიან.

მასწავლებელი_
რას გაშეშებულხარ კარის წინ
და თუ კარგად ვხედავ, თან სტირი კიდევაც?

ბიძა_ მასწავლებელო, უბედურება
პირველ კამარას ჰკრავს,
სულ ახლახან დაიწყო.

მასწავლებელი_ დიახ,
მედეა გაგიჟდა,
მე გული მტკივა, რომ ამას მასზე ვამბობ,
მე ხომ მის სამსახურში ვარ,
მაგრამ ჩემი ასაკის მიუხედავად,
მე ჯერაც მესმის და ვხედავ უბედურებებს,
რომლებიც ჯგროდ მოდიან.
ის კი აინუნშიაც არ აგდებს,
ტკივილმა გაუთიშა ტვინი,
სიგიჟემ დააბრმავა,
ახლა წინანდელზე უფრო ადამიანურია,
სიყვარული, როცა მას უბედურება მოაქვს,
ჩვენ უიარაოდ გვტოვებს
და არარაობად გვაქცევს.

ბიძა_გასაგებად თქვი, რასაც ამბობ!
მასწავლებელი_ აჯობებს, სულ არ ვილაპარაკო.

წყეული ენა,
ხშირად ის ლაპარაკობს ჩვენს ნაცვლად,
მაშინაც კი, როცა სათქმელის
ნახევარიც კი არ გვინდა, რომ ვთქვათ.

ბიძა_არა, არა!
გევედრები, ილაპარაკე,
არ დამიმალო შენს მსახურ დას,
ყველაფერს, რასაც მეტყვი,
ჩემი ტვინის ყველაზე ღრმა სამარეში დავმარხავ.
მასწავლებელი_ რამდენიმეს მოვუსმინე,
ისინი კამათობდნენ და მე არც შევუმჩნევივარ.

ძიძა_ მაშ, მერე?

მასწავლებელი_ ძნელია სათქმელად.

ძიძა_ რას ამბობ?

მასწავლებელი_ მედგაზე ლაპარაკობდნენ ისინი

და იცოდნენ რაღაც-რაღაცები,

ჩანს ხმა მთელ ქალაქში გავრცელდა.

ძიძა_ რა, რა ხმა გავრცელდა?

მასწავლებელი_ მედგა ის აღარ არის, ვინც იყო.

ქალები_ აჰ!

ძიძა_ ვინ აღარ არის?

მასწავლებელი_ ის აღარ არის მედგა,

გაიგეს, რომ რომ მას აღარ გააჩნია ის, რასაც ფლობდა,

_თავისი ცოდნა და ძალმოსილება.

ძიძა_ იაზონის ამბავი?

მასწავლებელი_ იაზონის ამბავი დღეების წინ იცოდა მთელმა ქვეყანამ,

აი, ძალმოსილება კი სულ სხვაა.

ძიძა?_ ძალმოსილება?

მასწავლებელი_ ნიჭი ყოველი საწადელის ნებისმიერ დროს მიღწევისა,

გავიგონე, როგორ უწოდებდნენ ძალადაკარგულს

და ამბობდნენ, რომ მასში აღარ ცოცხლობს გრძნეული.

ძიძა_ ოჰ, ოჰ, ოჰ!

პირველი ქალი_ და მაშინ?

მეორე ქალი_ ეს თუ ასეა?

მესამე ქალი_ ეს ნიშნავს...

ძიძა_ ნუ ამბობ ამბობ ამას,

ეს მართალი არ არის,

საიდან იციან, როგორ გაიგეს?

ბოროტი ხმები...

იაზონის ქორწინებით კიდევ უფრო შეიძულეს,

მისი უძლურება სურთ,

მაგრამ ის უძლური არ არის,

არც ისეთი, ვითარების შეცვლით რომ შეიცვალოს. არა, არა, არა!

[სიღრმიდან ისმის მედეას საშინელი კვილი]

მასწავლებელი_ ეს იმას ნიშნავს, რომ თავადაც მიხვდა ამას.

მაშასადამე, ეს მართალია.

ძიძა_ ბავშვები...

ის ახლა გამოვა გარეთ

და მათ დაატყდება თავს.

ბავშვებო, გაიქეცი, ჩქარა დაიძალეთ!

მასწავლებელი_ არა, მათ საფრთხე არ ემუქრებათ.

საფრთხე სხვაა, ის ჩვენ ყველას გვემუქრება,

ყველაზე დიდი საფრთხე.

[შემოდის მედგა]

მედგა_ სად არიან ჩემი შვილები?

[თუმცა ძიძა ხელის შეშლას ცდილობს, პედაგოგს ბავშვები მიჰყავს მედეასთან]

მედგა_ აჰა, ეს მოსასხამი, ასე ფერმკრთალი,

ადამიანისგან ხელთუქმნელი
და კიდევ ეს ოქროს გვირგვინი.
მოდით, აიღეთ, ჩემო შვილებო,
თქვენი პაწია ხელისგულებით დაიჭირეთ
ჩემი საჩუქრები და მიაართვით
ბედნიერ პატარძალს.
ჩემს საჩუქრების ბადალი არავის არასოდეს მიურთმევია.
წადით, ჩემო შვილებო,
ჩქარა შედით იმ მდიდრულ სასახლეში
და მოძებნეთ მამათქვენის ახალი მეუღლე,
რომელიც აწ ჩემი დედოფალია,
მაგრამ ფრთხილად იყავით,
საჭიროა, რომ პირადად მისმა ხელებმა
ჩამოგართვათ ისინი, სხვებს არ გადასცეთ! ჩქარა, ჩქარა!
უნდა დაბრუნდეთ და მითხრათ,
რომ ყველაფერმა სასურველად ჩაიარა.
[ბავშვები სასახლეში შედიან მედეას მიერ მიცემული საჩუქრებით. ყველანი მედეას
შესცქერიან. დიდი სიჩუმე]
მედეა _ აქედან ცოტას გავიგებთ,
ან კარგს ან ცუდს,
ეს მუდამ ასეა.
ის, რაც ხდება,
ან კარგია, _ ან ცუდი
და შენ კი ელი,
უფრო მეტადაც კი, ვიდრე შეგიძლია,
მაგრამ საბოლოოდ
ხდება ან ერთი _ ან მეორე.
მაგრამ ბოლოს მაინც ხდება და შენ იგებ,
ამ ორიდან რომელი მოხდა.
[შემოდის იაზონი]
იაზონი _ რატომ გააკეთე ეს,
როგორ ფიქრობ,
სასახლეში მოსასხამები აკლიათ
თუ ოქრო დაილია?
მედეა _ რა ბედნიერი ქალია,
არა მარტო უამრავი ქონება აქვს,
მას შენც ჰყავხარ,
ყველაზე ლამაზი კაცი,
შენ, შენ, რომელიც მყავდი
და აღარ მყავხარ.
რა ბედნიერია!
ახლა კი ფლობს მორთულობებს,
რომლებიც მამა-მზემ უძღვნა თავის შვილებს,
განა მშვენიერი არ არის რომ სწორედ ჩვენს შვილებს
მიაქვთ ისინი მასთან?
იაზონ, პატიებას გთხოვ იმ სიტყვების გამო,

ცოტა ხნის წინ რომ გითხარი,
ნუ გაცხარდები ჩემს სიფიცხეზე,
მას შემდეგ, რაც ჩვენ, ორივეს,
ასე გვიყვარდა ერთმანეთი.
მე ვიფიქრე იმნაირად,
როგორც შენ მეუბნებოდი
და მე ვინანიებ,
მე ჩემს თავს თვითონვე ვკიცხავ.
რატომღაც ვჩივი, თუკი ღმერთებს
ყველაფერი სასიკეთოსკენ მიჰყავთ?
ახლა შენს სადიდებელს აღვავლენ,
მე შენ გემადლიერები,
ახლა ვხვდები,
ბოლოს და ბოლოს, ვხვდები,
რის გაკეთებას აპირებ
და რა გეგმა გაქვს,
რა რჩეულ ტვინში იშვა ის,
რა ბრიყვი ვიყავი,
რა მძიმედ მოფიქრალი,
რომ არ გამიხარდა,
რომ მაშინვე არ გავიქეცი შენს ახალ ცოლთან
და გვერდი არ დავუმშვენე
და მასთან ერთად არ გავიხარე.
ეს ასეა, ასე ვიქცევით არაცივილიზებულიები
და ქალები კი, ასეთები ვართ ქალები.
უჩვენოდ უსასრულოდ უკეთესი იქნებოდა სამყარო,
მაგრამ შენ კაცი ხარ,
ჭკვიანი, დიპლომატი და მოქნილი.
მე და ჩემს სისულელეებს სერიოზულად არც უნდა მოგვეკიდო.
ეს ყველაფერი დამთავრდა.
ვთქვათ, რომ ვცდებოდი
და რომ ახლა
ჩავწვდი სიმართლეს.
[ბავშვები გამოდიან სასახლიდან]
მედია_ მოდით, ბავშვებო,
გამოიქეცით!
მამათქვენი აქ არის.
მოეფერეთ, აკოცეთ!
მამათქვენი ისევ ჩვენთანაა,
ახლა ჩვენ ყველანი ერთად ვართ,
სიგიჟეები ჩავლილია.
მოდით, მომეცით ხელები,
თქვენი ნაზი ხელებით აიღეთ ჩემი მარჯვენა ხელი!
აჰ, აჰ, ცრემლები ყელში მებჯინება,
ვქვითინებ,
როგორ არ ვიტყვი?!

ამდენი ხანი ჩემი სახე მშრალი იყო
მამათქვენის სიძულვილით,
თქვენი კარგი მამის სიძულვილით,
ოჰ, ახლა ყველაფერი რა კარგადაა!
იაზონი_მედეა, შენი სიტყვები მახარებს,
ბუნებრივია, ქალები ფიცხდებიან,
როცა მათი ქმრები ახალ ქორწინებას აპირებენ.
გულის სიღრმეში შენ კეთილი ხარ.
თქვენთვისაც, ჩემო ბიჭებო,
მე არ ვარ გულცივი მამა,
მე თქვენ უკვე გხედავთ
თქვენს სხვა, ახალ ძმებთან ერთად კორინთოელთა
მოწინავე რიგებში,
ახლა იფიქრეთ იმაზე, რომ გაიზარდოთ,
ყველაფერი დანარჩენი კი მომანდეთ მე,
მამათქვენს,
რომელიც ამას თავს იდებს ღმერთების დახმარებით,
მაგრამ შენ ისევ რატომღა ტირი?
შენ არ გახარებს ის, რაც ახლა ვთქვი?
მედეა_ მე არ ვტირი,
მე ბავშვებზე ვფიქრობდი.
იაზონი_ ნუ გეშინია, ამაზე მე ვიზრუნებ.
მედეა_ მე ეს ვიცი,
მაგრამ ქალებს გვჩვევია არაფრის გამო ცრემლების ღვრა.
ცრემლები... ცრემლები,
როგორ არ ვიტყვი, როცა ვიცი, ვისთვისაც თავდება სიცოცხლე.
იაზონი_ მითხარი, რატომ გეცოდება ბავშვები?
მედეა_ ეს იმიტომ, რომ მარტო გაჩენა ვაჟებისა
არ არის საკმარისი.
დედებს მუდამ თავზარს სცემს ის ფიქრი,
რომ უეცრად რამე დაემართებათ მათ შვილებს.
იაზონი_ ჩვენს შვილებს არაფერი ემუქრებათ.
მედეა_ ნეტა, ამის დაჯერება შემეძლოს!
იაზონი_ ირწმუნე, ამას მე უზრუნველვყოფ.
მოდინ ქალაქის პატრონი და მისი საყვარელი ქალიშვილი.
[შემოდინ კრეონი და გლავკი, რომელიც ატარებს მედეასგან მიძღვნილ ძალიან ნაზ
მოსასხამსა და ოქროს გვირგვინს]
კრეონი_ მედეა, მე შენ ახლახან გითხარი
და ეს იყო ბრძანება, რომ სამუდამოდ დაგეტოვებინა ჩვენი ქალაქი,
მაგრამ ამჟამად მე უკან მიმაქვს ჩემივე სიტყვები,
მე არ მეშინია ჩემივე ბრძანების გაუქმების,
როცა ეს გაუქმება უკეთეს სამსახურს მიწევს,
მიზეზი, რის გამოც ამას ვაკეთებ, სერიოზულია,
ამას ჭეშმარიტად ძალიან სერიოზული საფუძველი აქვს.
ეს მიზეზი ერთადერთია: აღარ მეშინია, შენი, მედეა,
აღარავის ეშინია შენი,

საჩუქრები, რომლებიც ჩემს ქალიშვილს გამოუგზავნე,
იმას მოწმობს, რომ აღარა ხარ სახიფათო.
ის მათ ატარებს, მათით ხარობს და მასთან ერთად მეც ვხარობ, მეც.
ვფიქრობდი, რომ ჩემი შვილისთვის
ზიანის მიყენებას აპირებდი შენი სასიკვდილო წამლებით.
ახლა შენდამი უნდობლობის არავითარი მიზეზი აღარ მაქვს.
იქნებ შენ არ გინდოდეს, მაგრამ ახლა სიავის ჩადენა აღარ შეგიძლია.
ხმები, რომლებიც რამდენიმე საათია ქალაქში დადის,
დასტურდება შენ მიერ მოძღვნილი ძვირფასი საჩუქრებით.
თავდაპირველად ვერ ვიჯერებდი, ჩემთვის ვამბობდი,
როგორ არის შესაძლებელი, რომ ეს მართალი იყოს,
რომ მედეამ დაჰკარგოს თავისი დიადი, ღვთაებრივი უნარი?
ზოგიერთები ჩემს სასახლეში ამბობდნენ, რომ იხილეს როგორ ამზადებდი
საწამლავებს და ვერ აღწევდი სასურველ შედეგს,
რომ შენ გიხილეს სასოწარკვეთილი, თავდაკარგული,
იმედდაკარგული ყოვლისმომცველი საფრთხის წინაშე,
გაღიზიანებული იმით, რომ ძველი ძალა აღარ გემორჩილება,
ერთმა მეორეს უთხრა და ასე გავრცელდა.
ამას ვისმენდი და არ მჯეროდა, რომ ასეთი რამე შესაძლებელია,
ნუ შეეხები პრინციპებს, რაც დასაბამიდან არსებობს.
რადგან ადამიანთა სამყაროში არაფერი იცვლება,
ისმის ხმები, რომ ხდება ცვლილებები ღმერთების სამყაროში,
მაგრამ ეს არასოდეს მოხდება. ღმერთების წესრიგი არასოდეს შეიცვლება,
ის უცვლელი დარჩება, ვიდრე ქვეყნიერება იარსებებს.
მაგრამ, მედეა, ნამდვილად მართალია ის, რაც შენ გეხება.
შენ გამორჩეულად. შეუძლებელია, ეს არ იცოდეს,
ამას ჯერ არ ამბობ, მაგრამ შენ პირველი მიხვდი,
რომ სამუდამოდ დაჰკარგე ღვთაებრივი სიდიადე,
რომელიც საშუალებას გაძლევდა, ისე წარგემართა მოვლენები,
როგორც, ჩვენი, მოკვდავების აზრით, მხოლოდ ღმერთებს ძალუძო.
ამიერიდან ისეთივე მოკვდავი ხარ, როგორც ჩვენ, ყველანი_ არასრულყოფილები
და შენი შესაძლებლობები ჩვენსას არაფრით აღემატება.
ეს სიმართლეა. აქედან გამომდინარე,
შენ შეგიძლია აქ დარჩე შენს შვილებთან ერთად,
ამასთან უფლება გექნება, გაემგზავრო, როცა კი მოინდომებ
და ამჯობინებ სხვა ქალაქში გამგზავრებას.
ჩვენ გვსურს, რომ აქ, ჩვენ ახლოს დარჩე,
რადგან შენ აღარ ხარ ბარიერი.
იმ გრძნეული სიბრძნის გარეშე,
რომელიც შიშსა და სიკვდილს თესავდა,
შენ ხარ ჩვეულებრივი ქალი, როგორც ყველა სხვა.
შენ ფიცხი ხარ, ეს კარგად ვიცი, მაგრამ ვინ არ არის ასე,
როცა მისი სიცოცხლე ასეთ საშინელ წნეხშია.
ამჟამად ჩვენ შენი გვესმის და სიმჰათით გიყურებთ.
მე მეფე ვარ, მაგრამ სულაც არ მაქვს მეფეთა გულცივობა.
მე მებრალეებიან ადამიანები და შენ ნებას გრთავ,

იქ, სადაც გინდა, რამდენ ხანსაც გინდა, ბედნიერად გაატარო ცხოვრება.
ხვალ ჩვენ ვიზეიმებთ გლავკის ქორწილს მასთან, ვინც შენი ქმარი იყო
და უკვე აღარ არის. ჩვენ მზად ვართ განვიცადოთ ის ბედნიერება,
რომელსაც ღმერთები გვიძღვნიან საბრალო მოკვდავებს:
სრულყოფილი მშვენიერების მიუწვდომელ მარადიულობას.

გლავკი_მედეა, მეც მინდა, ორიოდ სიტყვა გითხრა,
ამას პირველად ვშვრები და ვგრძნობ, რომ სათქმელი ბევრია.
პირისპირ არასდროს შევხვედრივართ,
თან ასე ახლოს. განსაკუთრებით ახლა,
როცა ვირთავ ისეთ კაცს, როგორც იაზონია,
შენს ქმარს და შენი შვილების მამას,
შენმა საქციელმა ძალიან ღრმად შემძრა.
შენს ღვიძლ შვილებს გამოატანე ეს საჩუქრები,
რომელთაც ეტყობათ, რომ რაღაც ნაწილი საკუთრივ შენი ნახელავია.
შენი მოქმედება დიდსულოვნების მაჩვენებელია,
რაც პატივს გდებს და ცხადყოფს შენს უსაზღვრო კეთილშობილებას.
უზარმაზარი სიხარულს განმაცდევინებს იაზონთან შეუღლება,
როცა მორთული ვიქნები შენ მიერ გამოგზავნილი სამშვენიისებით.
იცოდე, რომ მიყვარხარ და გთხოვ ჩვენთან ერთად გაიზიარო
ჩვენი დიდი ბედნიერება. შენ ხომ გამოგიცდია
ამნაირ კაცთან შეუღლების სიხარული.
ხომ მართლა უდიდესი ბედნიერებაა ქალისთვის.
სრული და ყოვლისმომცველი კავშირი
საყვარელ კაცთან, რომელის გვიძღვნის საკუთარ თესლს,
რომელსაც ჩემი საშვილოსნო ელის მოუთმენლად,
აღბათ ისევე, როგორ წინათ შენი ელოდა.
მედეა, მე ვარ თავდავიწყებით შეყვარებული ქალი,
რომელიც ცოცხლობს თანაზიარი ყოვლისმომცველი სიყვარულით.
საყოველთაოდ ცნობილია,
მაგრამ არავინ აღიარებს, რომ კაცებს სჭირდებათ ეს
და სურთ უპირველესად და ყველაფერზე მეტად ამ ქვეყანაზე:
„ბედნიერი სიყვარულით ცხოვრება“. მე ამას ვამბობ ყველას წინაშე,
რომ არაფერია ამქვეყნად უფრო მშვენიერი იმაზე,
რასაც შეყვარებული მამაკაცი გვიძღვნის..
ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა ეს გაქვს,
ხოლო_ თუ ეს არ გაქვს ან გქონდა და დაკარგე,
ეს უკვე უდიდესი უბედურებაა. მე ვიცი, რასაც განიცდი,
მე მებრალები, რადგან სიყვარულის ტკივილი
ყველაზე დიდი, ყველაზე სიღრმისეული ტკივილია,
ვაგლახ, რომ რომ ვერაფრით გიშველი,
მაშინაც კი, როცა მე ვარ უნებურად ამ ტკივილის გამომწვევი
და არ მინდა იტანჯებოდე. მაგრამ შენ გამოგიცდია ის,
რასაც მე განვიცდი ახლა და ყველაზე უკეთ გამიგებ.
მე მსურს მთელმა სამყარომ გაიზიაროს ჩემი ბედნიერება.
სხვებთან ერთად შენც გიწვევ ჩვენს ქორწილზე.

მინდა, რომ ახლა, როცა სიავემ დაგტოვა რომ ჩემ გვერდით იყო
და სხვებთან ერთად იმზიარულო.
გმადლობ, რომ მომისმინე. ასევე საჩუქრებისთვის ვარ მადლობელი.
დღეიდან საკმაო დრო გვექნება, ვისაუბროთ ისე,
როგორც საუბრობენ მეგობრები,
რომელთაც ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთს
მთელი გულით უსურვებენ სიკეთეს.
[კრეონი, გლავკი და იაზონი შედიან სასახლეში. ხანგრძლივი სიჩუმე]

ძიძა_ჰოი, ღმერთებო, ნეტა, არგოს ჩიტივით არასდროს გადაეფრინა შავ ქვებს შორის!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არასდროს მოჭრილიყო პელიონის ტყეში ფიჭვები,
რომლებიც ხოფებად იქცნენ!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არასდროს გამგზავრებულიყვნენ
და არ დაბრუნებულიყვნენ ვაჟკაცები,
რომლებმაც ბედნიერების ოქროს საწმისი ჩამოუტანეს მეფე პელიასს!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არასდროს მოეკლა იაზონს დრაკონი!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არასოდეს შეხვედროდა მედეა იაზონს!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა, არასდროს ეარსებათ კაცსა და ქალს,
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არ ეარსება სიყვარულს!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არ ეარსება ქვეყნიერებას!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა არ ეარსება სიცოცხლეს!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა ყველაფერი დაწყებამდე დამთავრებულიყო!
ჰოი, ღმერთებო, ნეტა აქ არ ვიყო!

არ ვხედავდე,
არ ვისმენდე,
არ ვიცოდე!

პირველი ქალი_ გაჩუმდი, გაჩუმდი!

მეორე ქალი_ შენ მეტისმეტი თქვი.

მესამე ქალი_ აღარ ილაპარაკო, გაჩუმდი!

მასწავლებელი_ვისურვოთ, რომ სულ ეს იყოს,

მეტი არაფერი მოხდეს,

კიდევ რამე არ მოხდეს,

მე მეშინია, კიდევ რამე არ მოხდეს.

[ხანგრძლივი სიჩუმე]

მედეა_ზევსო!

[სიჩუმე]

ზევსო, გესმის?

[სიჩუმე]

მისმენ?

[სიჩუმე]

თუ მისმენ, ნიშანი მომეცი!

[სიჩუმე]

ერთი ნიშანი

[სიჩუმე]

ერთადერთი

[სიჩუმე]

მაშ, მეხი მტყორცნე,
[სიჩუმე]
თუ ყურს არ მიგდებ!

[სიჩუმე]
თემიდა,
დიდო თემიდა!

[სიჩუმე]
მკაცრო არტემიზია!
[სიჩუმე]

ჰეკატე,
ჰეკატე!
[სიჩუმე]
მიპასუხეთ!

[სიჩუმე]
მზეო!
მზეო!
მზეო!
მზეო!
მზეო!

[ხანგრძლივი სიჩუმე. მედეა მკლავებს ხვევს ბავშვებს]

მედეა_მე თქვენ დაგხოცავთ,
არ შემიძლია სხვანაირად,
მე, ვინც თქვენ გაგაჩინეთ,
უნდა დაგხოცოთ.

მე თქვენ დაგხოცავთ,
რადგან მე მედეა ვარ,
დიახ,
დიახ,

მე მედეა ვარ
ახლაც და სამუდამოდ!
ვინღა ვიქნები,
თუ არ დაგხოცავთ.

მედეად რომ დავრჩე,
თქვენი დახოცვა არის საჭირო,
ჩემო საყვარლებო,
უბოძეთ თქვენს პატარა დედიკოს
თქვენი ფუნთუშა მაჯები,
რომ დაგიკოცნოთ.

ოჰ,
პატარა დასვრილი ხელი,
პაწაწა ოფლიანი თავი,
ჩემო პაწია,
ჩემო დიდებულო უფლისწულებო,
დამეხმარეთ, რომ მედეა ვიყო,
მაგრად შემეწინააღმდეგეთ,
მატკინეთ!

აჰ, ნაზო კანო,
ნაზო,
ჩემო შვილებო,
რა სასიამოვნო სურნელს გამოსცემს თქვენი სუნთქვა,
წადით, წადით!
არ შემიძლია თქვენი დანახვა,
ვერ ვიტან თქვენს შეხებას.
ის ბრუნდება,
ჩემი დალოცვილი ბოროტება.
მოდით, ბოროტებავ, მოდით
და დამამარცხე,
ურჩხულად მაქციე,
მედეად მაქციე!

ოჰ,

ოჰ,

ოჰ!

მე მზადა ვარ, არაფერს ვგრძნობ.

მე ვარ...

არა,

მე არ ვარ,

მე არ...

[ზავშვები თავისუფლდებიან მისი მკლავებისაგან და გარბიან მასწავლებლისა და
მიძისკენ]

მედეა_მზე ჯერაც თავის მწვერვალზეა,

მაგრამ დგება ღამე,

უკანასკნელი ღამე,

ჩემ წინაშე მკვლელობის ბევრი გზაა:

ხანძრის გაჩენა მათ საქორწინო ოთახში,

მუცლების გაფატვრა ორლესული დანით,

მათი ნაწლავების დაგლეჯა,

სასიცოცხლო ორგანოების დანაკუწება,

თავების,

ხელების,

ენების დაჭრა,

თვალების დათხრა,

მათი მთელი სისხლის დაქცევა.

ბევრი რამ შემიძლია,

მაგრამ სად არის ის,

ჩემი თამდაყოლილი სიბრძნე,

სად არის ჩემი ჯადოსნური ხსნარები,

სად არის მედეა,

სად წავიდა?

მაგრამ მე კვლავ იმასვე ვიზრახავ,

აჰ, რომ მოვახერხო და

მათ, სამივეს მოვუღო ბოლო...

მას, მამამისს და ჩემს ქმარს.

ოჰ, სიძულვილო,
სიძულვილო,
მოდი ჩქარა, ახლა, ახლავე!
მოდი ერთიანად,
და უფრო ძალმოსილად!
მედეა უნდა ვიყო,
ღმერთები უნდა შემეწიონ,
ღმერთებო, სადა ხართ,
სად,
ღმერთებო!

[სასახლიდან ისმის დიდი ხმაური და საშინელი კივილი]

მედეა_აი,
ეს ხდება,
ეს ხდება,
ის ცდილობს მოიშოროს მომაკვდინებელი სამშვენისები,
მოიხადოს და მოისროლოს ოქროს გვირგვინი
ცეცხლმოდებული,
უნაზესი მოსასხამი ჭყლეტს,
ხრავს
მის ნორჩ სხეულს,
ის ერთიანად ხანძრად იქცა.
გარბის და თავის ქნევით ცდილობს
გათავისუფლდეს მომაკვდინებელი გვირგვინისაგან,
მაგრამ იგი ღრმად არის შესული მის თავისქალაში
და არ ვარდება,
ცეცხლი კი სულ უფრო და უფრო ძლიერდება.
დამარცხებული ქალი ძირს ეცემა,
თვალებიღა დარჩა,
პირი აღარ უჩანს,
მისი სახე მხოლოდ წყლულია,
სისხლი და ცეცხლი
ოქროსთან ერთად
მოწვეთავს მისი შუბლიდან,
მისი ნაკვთები,ჩემი შხამებით დაგრეხილები,
სცილდება ძვლებს, სცილდება,
ვერავინ ბედავს მიახლოებას,
უეცრად შემოდის მამამისი,
არ იცის, რა ხდება,
მივარდება მკვდარს,
ყვირის, ყვირის
და ტირის,
გულში იკრავს,
კოცნის:
„ჩემო გოგონა, რომელმა ღმერთმა დაგამსხვრია,
შენთან ერთად მინდა სიკვდილი!“

ადგომას აპირებს
მოსასხამი არ უშვებს,
ამაოდ იბრძვის განთავისუფლებისთვის,
ამაოდ,
მისი ბრძოლა ამაოა
მისი დამჭკნარი სხეულის ნაწილები,
მირს ცვივა, როგორც ხის გამომშრალი ქერქი.
თავდება, მისი სიცოცხლე თავდება,
მამა და ქალიშვილი
მკვდრები წვანან გვერდიგვერდ.
[შემოდის იაზონი]
მედეა_ჩემო სატროფოვ,
ჩემო ქმარო,
ბოლოს და ბოლოს მათ მოვუღეთ ბოლო,
დავრჩით ჩვენ ორნი:
შენ და მე.
ეს მოვიმოქმედე შენთვის,
ჩვენთვის,
ჩვენი სიყვარულისთვის.
ხომ ხედავ,
მე ყოვლისშემძლე ვარ.
სიცრუეა ყველა ჭორი,
საბრალო მეტოქეების მიერ დაყრილი ჭორები.
მე შენ მიყვარხარ,
ხელახლა ჩემი ხარ, ჩემი და მე კი_ შენი ვარ.
როგორ მიყვარხარ, იაზონ,
ერთიც არ იქნება ჩემებრი ქალი,
ერთიც არ იქნება შენებრი კაცი.
აუცილებელი არ იყო, რომ ეს მომხდარიყო,
მაგრამ რადგან მოხდა,
მოვიტოვოთ ეს ყველაფერი უკან
და მოდი,
გავემგზავროთ ჩვენს შვილებთან ერთად,
აქედან შორს
და სხვაგან დავიწყოთ
ახალი ცხოვრება.
იაზონი_ ოჰ,
საშინელი მკვლელობა,
ოჰ, ოჰ!
მედეა_ დიდებული ნამუშევარია
იაზონი_ შემზარავი... შემზარავი...
მედეა_ნუ სტირი,
იმით, რაც მოხდა,
არაფერი წაგიგია.
პირიქით, შენ მოიგე.
იაზონი_ რა მოვიგე?

მედეა_ ხელახლა მომიპოვე.
იაზონი_ რას ამბობ?
შორს ჩემგან,
თვალით არ დამენახვო,
არასოდეს!
მედეა_ ორმაგად მეყვარებოდი,
თუ ამ ორმაგ სიკვდილზე მიაბოძდი.
იაზონი_ ეს გლავკის დაემართა.
მედეა_ მე ეს ვიცი.
იაზონი_ იგი კრეონმა მოკლა.
მედეა_ კრეონმა მოკლა იგი?
იაზონი_ ჩემს თვალწინ.
მედეა_ მამამ მოკლა თავისი ასული?
იაზონი_ ის მეც მეცა მოსაკლავად.
მედეა_ მერე მოჰკალი?
იაზონი_ არა, მე მას მოვკლავდი, მაგრამ ჩემი ხმალი...
მან გადაადო თავისი და ჩემსას მივარდა.
მე წავედი...წავედი.
მედეა_ და ახლა?
იაზონი_ გლავკის უსიცოცხლო სხეული...
მასწავლებელი_ როგორ მოხდა ეს?
მიძა_ ეს როგორ გააკეთა?
მედეა_ გლავკის უსიცოცხლო სხეული...
იაზონი_ როცა ჩვენ შევედით,
ოჰ, ეს საშინელია!
შევედით მთავარ დარბაზში,
ვსაუბრობდით და ვიცინოდით,
საშინელია...
საზარელია!
ასეთი მხიარულება..
და უეცრად კრეონი შეჩერდა,
გლავკი მკლავებში მოიქცია,
შუბლზე ეამბორა,
მერე უცებ,
ამის თქმაც ძნელია,
იშიშვლა ხმალი და
თავის ასულს გული გაუგმირა,
მერე მე მეცა,
ძლივს მოვახერხე, ამეცდინა
და ჩემი ხმალი ამომელო,
მის მოსაკლავად კი არა,
მოსაგერიელებლად,
დასამუქრებლად და შესაჩერებლად.
რის შეჩერება? მან მოისროლა თავისი ხმალი
და დაემხო გლავკის.
თქვენ გესმით.

ის ტირის და ყვირის.

არა,

ის, რაც მოხდა,

არ მომხდარა

და თუ მოხდა,

არ არის ბედისწერა.

მედეა_ გლავკის უსიცოცხლო სხეული...

იაზონი_ და სხვა არაფერი...

მასწავლებელი_ გაიგონე რამე, რაც თქვეს?

იაზონი_ ბევრი რამე...

იმდენად გასაოცარი,

რომ ბოლომდე მიხვედრა შეუძლებელია.

მე ვერ ვხვდები,

ახსნას ვერ ვუძებნი,

ეს ამოუხსნელია.

მედეა_ ეს მან ჩვენთვის ჩაიდინა.

ეს არის ამის ახსნა.

აი, ეს უნდა გაიგო.

ეს მან ჩვენთვის ჩაიდინა,

რომ გლავკისგან განთავისუფლებულიყავი,

ჩემთან რომ დაბრუნებულიყავი

და ახლა?

შენ იცი, რას აკეთებს ახლა?

იღებს ძირს დავარდნილ

თავის სისხლიან ხმალს

და გულს იგმირავს. აი, რაც მოიმოქმედა.

მკვდარი დაეცა თავის მკვდარ ასულს.

კრეონმა დაასრულა ჩემი ნაშრომი.

[იაზონი აპირებს გაქცევას სასახლისკენ, მედეა ხელს სტაცებს.]

მედეა_ არა, მოეშვი მაგათ,

ხელახლა ნუღარ ნახავ,

მე შემომხედე,

მე ცოცხალი ვარ,

მე სიცოცხლე ვარ,

იაზონ,

მე შემომხედე, მე!

[იაზონი უხეშად უბიძგებს მას, მედეა ებლაუჭება და ყვირის:

„შემომხედე, შემომხედე!“

იაზონი_ შენ იქით გაიხედე!“

[შემოდის კრეონი, მკლავებში მკვდარი გლავკით]

კრეონი_ შეხედეთ,

შეხედეთ ჩემს ქალიშვილს.

იგი მკვდარია.

ეს მე მოგვკალი,

მე უნდა დავმარხო იმ ხელებით,

რომლებმაც მოკლეს.

მე უნდა გავუთხარო საფლავი,
სად, ეს მხოლოდ მე მეცოდინება.
არც კაცს და არც ღმერთს არ შეეძლება ჩემთვის მისი წართმევა.
მხოლოდ მე ვაკოცებ მის ბაგეებს,
მხოლოდ მე მივუალერსებ მის ნორჩ მკერდს.
ჩემო სატრფოვ,
ჩვენი ქორწილია.
ეს მე ვარ შენი ქმარი,
ო, ჩემო მეუღლე,
წავიდეთ, დავწვეთ.
სამუდამოდ ვიწვებით ერთად,
ქმარი და ცოლი.

შეხედე ყვავილებს, რომელთაც ზეცა თავს გვაცურის,
ღმერთები გვაკურთხებენ
შროშანებით და ჟასმინებით,
მთელ ქვეყანას შენი სურნელი ასდის,
ჩემო სიყვარულო!
შემოგვხედეთ ყველაზე ჰარმონიულ წყვილს!
[კრეონი გადის. ხანგრძლივი სიჩუმე]
პირველი ქალი _ რა მოუვა კორინთოს
ამის მერე?
მეორე ქალი _ არაფერი იქნება ისე, როგორც წინათ იყო.
მესამე ქალი _ სად მიდის კრეონი,
მთელი ქალაქი უნდა გადაკვეთოს? მოსჩანს?
რას იგრძნობენ, როცა მას იხილავენ?
პირველი ქალი _ იმას, რასაც ჩვენ ვგრძნობთ.
მიძა _ ამის მერე ყველაფერს უნდა ველოდოთ.

მასწავლებელი _ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია,
რომ ეს არ მოხდეს.
მეორე ქალი _ შველა ვის ვთხოვოთ?
მესამე ქალი _ რას აპირებენ ამის მერე კორინთოელები?
ჩვენ რაღა ვქნათ?
იაზონი _ ჩვენ,
ჩვენ გავემგზავრებით.
მედეა _ იაზონ,
ოჰ, კი, იაზონ,
ჰო, ჰო!
იაზონი _ მე და ბავშვები.
[მასწავლებელი]
წადი, ეტლი მოამზადე,
ჩქარა!
[მასწავლებელი გადის]
მედეა _ შენ მარტო არ გაემგზავრები!
იაზონი _ არა! მე შენ გითხარი.

მე გავემგზავრები ბავშვებთან ერთად.

მედეა_ მერე მე?

იაზონი_ შენ რჩები აქ

ან სადაც გინდა, იქ წადი,

ნაკლებად მაინტერესებს.

რაც გინდოდეს, ისა ჰქმენ,

ოღონდ ჩვენგან შორს!

მედეა_ შენ გინდა წახვიდე

და ბავშვებიც თან წაიყვანო?

იაზონი_ დიახაც.

მედეა_ ჩემი შვილები?

იაზონი_ეს შენ ამბობ, რომ შენია.

მედეა_ ისინი ჩემებია.

ჩვენი შვილებია, იაზონ!

შენ არ გავემგზავრები უჩემოდ!

იაზონი_ მე მივდივარ,

შენ გარეშე მივემგზავრები,

თორემ შენთან ერთად გამგზავრებას აქ დარჩენა სჯობს,

რადგან შენთან ერთად

ყველგან ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქ.

მედეა_ შენ ასე არ წახვალ,

შენ ხომ შვილებს მართმევ.

იაზონი_ მე შენ გართმევ შვილებს,

როგორც შენ ამბობ,

გართმევ, რადგან საჭიროა

მათი დაცვა შენგან მოშორებით.

მედეა_ რატომ, რატომ?

მე მათ ცუდს აღარაფერს შევამთხვევ,

მათ ჩემგან საფრთხე არ ემუქრებათ,

მე მათ არ დავხოცავ,

მე მიინდა, რომ მათ იცოცხლონ

და მეც ვიცოცხლო მათთან ერთად.

შენ მათ არ წამართმევ,

ყველაზე დიდ ბოროტებას არ მომაგებ.

იაზონი_ შენ,

შენ გინდა მათთან ცხოვრება,

მათ კი უნდათ?

მედეა_

რატომღა კითხულობ ამას,

როგორ შეგიძლია ამნაირი კითხვის წამოჭრა?

რასაკვირველია, მათ სურთ,

რატომ არ უნდა სურდეთ,

შეიძლება ასეთმა ფიქრმა თავში გაუელვოთ?

ბუნებრივია, რომ მათ სურთ.

იაზონი_ ჰკითხე მათ,

უკვე ჩვილები არ არიან,

ისინი აზროვნებენ
და შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი აზრი.
შეეკითხე მათ.

მედეა_ რას მთხოვ?

იაზონი_ ჰკითხე ბავშვებს, სურთ თუ არა,
რომ შენ ჩვენთან ერთად წამოხვიდე.

მედეა_ შენ მე მკლავ, იაზონ.

არ შემიძლია, როგორ უნდა ვკითხო?

იაზონი_ შენ გეშინია,

რომ მათი პასუხი მოგკლავს.

მედეა_ მე არ შემიძლია,

არ შემიძლია,

დამინდე!

იაზონი_ [ბავშვებს]

გინდათ, რომ დედათქვენი

წამოვიდეს ჩვენთან ერთად?

[სიჩუმე]

მედეა_ თქვით!

თქვით, რომ გინდივართ

და გასურთ, თქვენთან ერთად წამოვიდე.

თქვენ ეს გინდათ.

[სიჩუმე]

ისინი არ ლაპარაკობენ.

იაზონი_ არ გაგიგონია, რაც თქვეს?

[შემოდის მასწავლებელი, რომელსაც მოჰყავს ეტლი.]

მედეა_ მათ არაფერი უთქვამთ.

იაზონი_ უკანასკნელად შეხედე მათ.

მედეა_ ჩემო შვილებო!

[ის გარბის მათკენ. ბავშვები ზურგს აქცევენ და ადიან ეტლში, მედეა მივარდება
იაზონს, იგი ხმლით იშორებს და ადის ეტლში მასწავლებელთან ერთად]

მედეა_ ამათ ნუ წამართმევ,

გვედრები!

რატომ მექცევი ასე?

იაზონი_ იმიტომ, რომ დაიტანჯო.

მედეა_ ცოტა ხნით მაინც მომაფერებინე მათთვის.

იაზონი_ შენ მათ ვეღარასდროს შეეხები.

მედეა_ [მასწავლებელს] შენ, ვისაც გაქვს ასაკით შეძენილი

სიბრძნე და მიუკერძოებლობა,

ურჩიე ამ აზრდაკარგულ კაცს.

რამდენიმე სიტყვით შეგიძლია

უკანვე შეაბრუნო კატასტროფა.

შეუძლებელია, რომ ვერ ხედავდე, ვინ არის მართალი.

გვედრები, უწილადე მცირეოდენი

შენი სიბრძნიდან,

დაგვეხმარე ოჯახის გადარჩენაში.

მასწავლებელი_ მედეა, შენ იმას სთხოვ სხვებს,

რის გაკეთებაც შენ თავადაც კი არ შეგიძლია.
ის რაც ხდება და რის აცილებას ლამობ,
შენივე ნამოქმედარია.
მე შენს სამსახურში ვიყავი,
მაგრამ ვერც ჩემი ადგილი
და ვერც ჩემი ასაკი
ხელს ვერ შემიშლის გითხრა,
რომ ამჟამად, ყველაზე მთავარია,
რომ შენგან ვიხსნათ ბავშვები. ეს შენა ხარ საფრთხე.
ის, ვინც შენგან შორს არის,
ის უსაფრთხოდაა.
მე საკუთარი უსაფრთხოებისთვის კი არ მივდივარ,
მე ხომ საფრთხე არ მემუქრება,
არამედ იმისთვის, რომ ამ ბავშვებზე ვიზრუნო,
ისე, როგორც მასწავლებელს შეუძლია.
სხვა რამესაც არ დაგიმაღავ.
ჩემმა ჭკუამ და მიუკერძოებლობამ
ამ აზრამდე მიმიყვანა:
შენ რომ მართლა ისე ჭეშმარიტად გყვარებოდა იაზონი,
როგორც ამბობ და რომ შენი ეროტიკული ვნება
მართლა სიყვარულისა ყოფილიყო,
მისგან ყველაფერს მოითმენდი,
იმასაც კი, რაშიც ამჟამად ბრალს სდებ,
შენ რომ მოგეთმინა, მხოლოდ მაშინ დაამტკიცებდი,
რომ რომ ნამდვილად გიყვარს ის.
ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ,
მაშინ კი იფიქრებდი პირველ რიგში მასზე.
ჩანს შენი გრძნობა სიყვარული კი არ ყოფილა,
არამედ მხოლოდ ეგოისტური ჟინი.
მედია_შენ არ გესმის, რა არის სიყვარული,
რადგან არასდროს არ განგიცდია.
აღარ მჭირდება შენი აზრი,
არ უნდა მეთხოვა შენთვის,
შენ ვერაფერი გაიგე.
თავს ვეკითხები,
ამგვარი აზრების პატრონი
რისი მასწავლებელი შეგიძლია იყო?
ცხოვრების არაფერი გაგეგება.
მასწავლებელი_ახლა არ მინდა შენთან საუბარი გავაბა,
მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდე,
რაც მთელი ამ უბედურების მიზეზია:
არც იაზონს და არც შვილებს
არ აყენებ შენზე მაღლა,
სწორედ ამის გამო
შენ არა მარტო საშიში ხარ,
არამედ

ყველანაირი ადამიანური ურთიერთობის უმეცარიც.
გამოგიტყდები, რომ შენგან მივდივარ იმ სიხარულით,
რომელსაც განიცდის ნებისმიერი, როცა გრძნობს,
რომ უარესიდან უკეთესისკენ მიდის.

იაზონი _ იმის მერე, რაც შენ გაიგონე,
უკეთესი იქნება თუ ერთი სიტყვაც არ დაგრჩება
იმ სიტყვებიდან, რაც გისწავლია
სხვათათვის შხამიანი ისრებივით სატყორცნად,
უმჯობესი იქნება, თუკი ერთადერთ საწამლავს,
რაც ამიერიდან გრჩება,
შენსავე წინააღმდეგ გამოიყენებ.

მედეა _ მე შენ მძულხარ!

მე შენ მძულხარ!

მე შენ მძულხარ!

იაზონი _ მინდა, რომ გძულდე,
ვერაფერი ისე ვერ გამახარებს,
როგორც შენი სიძულვილი.
მე მეზიზღება შენი სიყვარული,
მე მეზიზღება შენი სუნთქვა,
შენი კოცნები, შენი წვენები,
შენი ხმა, შენი სხეული.

მედეა _ ამ სხეულმა გამოკვება ეს ბავშვები,
უჩემოდ ეს შთამომავლობა არ გეყოლებოდა.

იაზონი _ ახლა შენ რჩები შთამომავლობის გარეშე.

მედეა _ ჩემო შვილებო, შემომხედეთ!

[ბავშვები სხვა მხარეს აბრუნებენ თავებს.]

იაზონი _ თავი დაიჯერე, რომ ისინი მკვდრები არიან,
თავი დაიჯერე, რომ ისინი შენ დახოცე,
თავი დაიჯერე, რომ ისინი არასოდეს დაბადებულან.

მედეა _ სად მიგყავს ისინი?

როგორ უნდა გაზარდო?

ვინ შეიფარებს მათ?

იაზონი _ მთელი საბერძნეთი გველოდება,

იგი იქნება მათი დედა.

მედეა _ მე შენ გწყევლი,

დაე, გაგსრისონ შავმა ლოდებმა!

დაე, შეგხვდნენ დრაკონები

და მათ დაგგლიჯონ!

დაე, შემოგხვდნენ ალქაჯები

და მოგწამლონ!

დაე, ღამით დაკარგო გზა,

ნაკუწებად გაქციონ

ყაჩაღებმა და კაციჭამიებმა,

დაე, ცოცხლად დაიწვე,

დაე, დალპე,

დაე გაგიჟდე!

შე მხდალო,
მატყუარავ,
ვერაგო,
ბინძურო!

არც ერთი ნამდვილი კაცი
არ მოიქცეოდა შენსავით.
დაე, ყველანაირი უბედურება დაგატყდეს თავს,
ყველანაირი სენი,
თვით სიკვდილშიც კი
ვერ ჰპოვო მშვიდობა!

დაე, სიყვარულმა დაგამსხვრიოს ისე,
როგორც მე დამამსხვრია,
დაე, ვერასდროს გახდე ის ბედნიერი,
ვისაც არავინ უყვარს!

იაზონი_ ამაოდ ილლი თავს,
სიცარიელეში ლაპარაკობ.

შენ დაკარგე სამშობლო,
უკვე არავინ გისმენს,
არც კაცი
და არც ღმერთი.

მე,
მე ვარ გამარჯვებული.
მე დიდების ეტლით
ჩემს შვილებთან ერთად
ახალი ცხოვრების დასაწყებად მივემგზავრები.
შენ, შენ უკვე მკვდარი ხარ,
ნურც შეგვიბრალებ და ნურც გაგვლანძლავ,
ჩვენ, ჩვენ მთელი საბერძნეთი გვიცავს.

[თავად მიჰყავს ეტლი, შვილები და მასწავლებელი. ხანგრძლივი სიჩუმე]

ბიძა_ნურავის აბრალებ,
ეს ყველაფერი თავად გამოიწვიე,
იმკი იმას, რაც დათესე
და შენი დათესილი
შენსავე წინააღმდეგ ამოიზარდა
და შენვე მოგდევეს,
აღარავინ არის შენს მხარეს.

მედეა_ისინი უსამართლონი იყვნენ ჩემ მიმართ.

რა გინდოდა, რომ მექნა?

არაფერი მელონა?

ყველაფერს შევგუებოდი?

უდიერად მომექცნენ

უმაღურად დამამცირეს,

ბარბაროსულად შეურაცხმყვეს,

არარაობასავით დამამდაბლეს,

წამართვეს ქმარი,

ჩემივე ქმარმა წამართვა ქმარი

და შვილები,
მათ ზურგი შემაქციეს და წავიდნენ.
მე დაჭრილი ვარ, მე დაჭრილი ვარ,
ჩემი სიყვარული ჭრილობად იქცა,
მე ვკვდები სიყვარულით.
მე ყველაფერი გავეცი
და ხელცარიელი დავრჩი.
დავაშავე?
სამართლიანობა სხვა რამეა?
მითხარი და მოგისმენ,
თუ რამე დავაშავე,
ვადიარებ და გამოვასწორებ.
მიძა_ახლა მეტისმეტად გვიანაა,
მართალიც რომ იყო,
არაფრის გამოსწორება აღარ მოხერხდება.
არ ვიცი, როგორ,
მაგრამ შესძელი ის,
რომ არავის უნდა შენი ცნობა,
აღარავის!

მედეა_ არც შენ?

[მიძა დუმს]

არც თქვენ?

პირველი ქალი_ ჩვენ გვებრალები,
მაგრამ შენს მხარეს აღარ ვართ.

მეორე ქალი_ ჩვენ სიმჰათით გიცქერდით,
კარგად იცი, მაგრამ ჩვენნაირი არ გამხდარხარ,
შენ ჩვენი გულის მოგება ვერ შესძელი,
შენ ამას მიუახლოვდი,
მაგრამ იმის მერე, რაც მოხდა...

მედეა_მე თქვენნაირი არ გავმხდარვარ,
მაგრამ რატომ უნდა გავმხდარიყავი?
რატომ თქვენ არ გახდით ჩემნაირები?
ვინა ხართ თქვენ ისეთი,
რომ მთელი ქვეყანა თქვენ დაგემსგავსოთ?
მე აქ მოვედი იმ კაცთან ერთად, რომელიც მიყვარდა.

ამან მომიყვანა აქ

და მე აქ ვიცხოვრე.

იაზონმა რომ დამაბრალა,

ისე გაუნათლებელიც არა ვარ,
რომ ვერ შემემჩნია,

სად ვიყავი,

მაგრამ რაც მან თქვა, თუ სიმართლეა,

და ეს ნამდვილად არაა ასე,

იქნებ უფლება არა მაქვს, ვილაპარაკო,

მაგრამ თქვენთან

მე ვერ ვპოვე ის, ,

რაც ცხოვრებას ისეთად აქცევს,
სიღრმისეულად რომ ნატრობს ადამიანი.
თქვენ გაქვთ ყველაფერი,
ძალიან მაღლა ახვედით,
აღმატებულები ხართ ყველაფერში,
მაგრამ მაგრამ ეს ის არ არის, რაც მჭირდება,
არც თქვენ, ვერც თქვენა ხართ ბედნიერები,
ყოველდღე უამრავ ორაკულთან დარბიხართ
და ეკითხებით, როგორ იცხოვროთ ბედნიერად
და თქვენ ღებულობთ პასუხებს,
რომლებიც პასუხები არაა.
პასუხს ვერავინ იღებს.
თქვენ ისეთი რამეებით ცხოვრობთ,
რაც გაკლიათ.
მე რომ იაზონი და ბავშვები არ მყოლოდა...
ახლა, როცა ისინი აღარ მყავს,
ახლა ვიცი, რომ ვერ შევძლებ
ავიტანო აქ ცხოვრება,
აქ ცხოვრება...
რა მართალი იყო ეგეოსი,
ასეა ჩემს ცხოვრებაშიც
იაზონის და შვილების გარეშე.
აქ რაღაც სხვა რამის ნაკლებობაა,
იქნებ სწორედ ამან გამოიწვია ეს ყველაფერი.
ეს ნაკლებობა ავადმყოფობად იქცა,
ეპიდემიად
და ახლა აღარაფერს სტოვებს ადგილზე.
არა, აქ მარტოშთენილი, ეული ვერ ვიცხოვრებ.
დავბრუნდებოდი
იქ, ჩემს მიწაზე,
იქ.
მაგრამ იქ უკვე აღარავის ვუნდივარ.
მე მინდა წასვლა,
მაგრამ ვერ მივდივარ
და აი, კვლავ აქ ვარ,
ყველგან არასასურველი ვარ.
მე,
ვინც მთელ ქვეყანას ვჭირდებოდი,
ვიქეცი უსარგებლოდ,
უსარგებლო...
ეს სიტყვა, რომელიც უარყავი
როცა გაცოფებული ვლმუოდი,
რადგან უსამართლოდ მეჩვენებოდა,
ახლა იძულებული ვარ თავმოდრეკილმა მივიღო.
საბოლოოდ ჩემ გარდა ყველა უდანაშაულოა.
მეტი სხვა რაღა უნდა დაემართოს ადამიანს,

რომ თავისი თავი თვითონვე შეებრალოს?

ოჰ, ოჰ!

ნეტა, არ დავბადებულებიყავი!

მესამე ქალი_ შენი გვესმის,

თუმცა ბრალს გვდებ რაღაცებში,

რაც მხოლოდ შენ უწყი,

ჩვენ შენს მხარეს ვიქნებოდით,

მაგრამ ვერაფრით გავამართლებთ

შენს ქმედებებს, შენს მოქმედებას.

მედია_ რომელ ქმედებებს?

მე უკვე არაფრის უნარი არა მაქვს,

ყველაფერი, რასაც ვამზადებდი, ჩაიფუშა.

მე ყველაფერი დავკარგე,

მე აღარ ვარ მედია,

ვინა ვარ? არ ვიცი?

ეული

აი, ვინ ვარ. ეული,

ეული...

არარა არარაში...დიახ,

მთელი ჩემი ცხოვრებიდან ერთადერთი რამ მრჩება,

პირველად რომ შევხედე მას,

მაგრამ მისი შეხედვაც ისეთნაირი იყო..

.როგორ მომინდა მაშინვე,

როგორ მომინდა

მასთან შეერთება ,

ისე, რომ არასოდეს დამეკარგა ის, ვისაც ვხედავდი,

მომეპოვებინა,

სამარადჟამოდ გავფრთხილებოდი,

გამელმერთებინა

და უსაზღვროდ მეხარა იმით,

რომ იგი იღებს ამ გალმერთებას.

აი, ეს ერთადერთი...

მაგრამ ამჟამად მე აღარა ვარ ის, ვინც ვიყავი,

ამჟამად,

ამ მომენტშიც

მე მხოლოდ ადამიანის მოდგმის არსებალა ვარ.

ბიძა_ბოლოს მუდამ ესლა რჩება

[შემოდის მაცნე.]

მაცნე_მე მოვდივარ კორინთოდან,

კორინთო კორინთო აღარაა.

მთელი ქალაქი თავდაყირა დგას,

ვისაც ის უნახავს, ველარ იცნობს,

ჭორები დადის, რომ იგივე ხდება

საბერძნეთის სხვა ქალაქებშიც,

ყველანი ქუჩაში არიან გამოსულები,

თავს იმტვრევენ იმის გასაგებად, თუ რა ხდება.

შეუძლებელია მსხვერპლის შეწირვა,
ქურუმებმა მიატოვეს ტაძრები
და უარს ამბობენ ღვთისმსახურებაზე,
ამბობენ, რომ არცერთი ღმერთი არ პასუხობს მათ,
შეუძლებელია იმის აღწერა, რაც ჩანს და ისმის.
ზოგიერთებმა დაიწყეს ქვების სროლა ღმერთების ქანდაკებებისთვის,
და ახლა ყველას ძირს აგდებენ კვარცხლბეკებიდან,
ნამსხვრევებად აქცევენ
ცულებითა და უროებით,
ზოგნი ცეცხლს უკიდებენ საკურთხევლებსა
და სასამართლოებს.,
ადამიანები ან გააფთრებულები არიან,
ან კიდევ სხედან მორჩილად
სევდიანები და გამტერებულები,
ვერ აუხსნიათ, ვერ წარმოუდგენიათ,
ვერ დაუჯერებიათ თუ რა და როგორ მოხდა,
მაგრამ მოხდა. მათთვის უკანასკნელი წვეთი იყო
იმის დანახვა, თუ როგორ ჩაიარა მათმა მეფემ,
რომელსაც მკლავებზე გადაეწვინა თავისი მკვდარი ქალიშვილი
და ყვიროდა, რომ მან მოკლა იგი
და ახლა მის ცოლად შერთვას აპირებს.
მისმა გაშმაგებისგან გათიშულმა სახემ
ყველანი გიჟებად აქცია
გონება დააკარგვინა.
იგრძნეს, რომ მათი ცხოვრებაც დაიმსხვრა
და სურთ, შური იძიონ,
არავინ ფიქრობს, რომ თავად კრეონმა,
მხოლოდ მან მოკლა თავისი ასული.
ვიღაცამ ხმა დაყარა,
რომ ამ მკვლელობის უკან სხვა ვინმე დგას,
სხვა ვინმე, აქ მყოფი,
_შენ!
მთელი ხალხი შენ გთვლის დამნაშავედ,
ყველა იმას გაიძახის,
შენ რომ კორინთოში არ ყოფილიყავი,
ის, რაც მოხდა და რაც ახლა ხდება, არ მოხდებოდა
არც ქალაქში, არც სასახლეში
და არც საერთოდ, მთელ საბერძნეთში.
მათ შენი დასჯა სურთ,
რომ შენ ზღო ყველაფრისთვის, რაც მოიმოქმედე.
შენ უნდა მოკვდე,
ყველას ეს სურს,
შენ უნდა მოკვდე!
ამისთვის გამომგზავნეს აქ,
შენს მოსაკლავად,
მე რომ არა, თვითონვე მოვიდოდნებ,

ახლა მელიან,
უნდა ვაცნობო, რომ მოგკალი.
„მოაკვდინე, მოაკვდინე!_ ღრიალებენ._
მოაკვდინე ეს ურჩხული,
ეს დემონი,
ნაკუწებად აქციე
და დაბრუნდი იმის სათქმელად,
რომ აღარ არსებობს ეს შხამიანი გველი!“
იმედი აქვთ, რომ ამით დასრულდება
ჩვენს თავს, ყველა ბერძნის თავს
დატეხილი უბედურება,
რადგან ამჟამად
ზეცისა აღარ სწამთ.
ამან ყველანი სასოწარკვეთილებაში ჩაგვადო,
თავგზა აგვიბნია,
სამყარო დაცარიელდა, არა დაგვრჩა მოსაჭიდებლად, დასაყრდნობად.
ყველა ელის, რომ რომ შენი სიკვდილით განვთავისუფლდებით
და ყველაფერი ძველებურად იქნება.
მე აქ ვარ იმისთვის,
რომ ჩემი ხელით მოკვდე.
თუ მკითხავ, რატომ მე და არა სხვა ვინმე,
გიპასუხებ, რომ ზუსტად არ ვიცი.
აღბათ, იმიტომ,
რომ ჩემი ხელი შეუცდომელია
და კიდევ...სინანულის შეგრძნება არ გამაჩნია.
აქედან გამომდინარე,
მე ვიცი, რომ ეს ჩემთვის დიდი შანსია,
რადგან ეს მე ვარ, ვინც საბერძნეთს
უნდა მოაშოროს ძუ დრაკონი.
შენ ერთ რამეს გეტყვი,
ნუ შემეწინააღმდეგები,
ნუ ეცდები მისიის შესრულება გამიძნელო,
მცირეოდენი იმედიც ნურაფრის გექნება,
ნურსაიდან ნუ ელი ხსნას.
არც ეს ქალები არ შემიშლიან ხელს,
ისინი კორინთოელები არიან
და თავიანთი ქალაქისათვის
და მთელი საბერძნეთისთვის კარგი უნდათ.
მოდით, ახლა რასაც შენ აკეთებ,
იმას აზრი არა აქვს,
გაუფრთხილდი შენს ღირსებას,
ახლა საკუთარი თავი რომ დაგენახა,
შეგრცხვებოდა.
მე ვიცი, რომ გეშინია,
მე ამას ვხედავ,
მაგრამ ასე დაბლა ნუ დაეცემი,

ოდესღაც დიადი იყავი,
პატივი ეცი შენს ძველ სახელს!
მე ისე მოგვლავ,
რომ ტკივილის განცდასაც ვერ მოასწრებ,
მერე რა იქნება,
იმაზე არაფერს გეტყვი,
სჯობს, არ იცოდე,
სად მიდიხარ,
აქ მოდი,
ვერსად გამექცევი. შენი აღსასრული დგება,
ვიცი, არ გინდა სიკვდილი,
თუნდაც ადრე გასურვებოდა.
ახლა როცა შენი სიკვდილი უეჭველია,
შენ აღარ გინდა იგი.
მე შენ მოგვლავ, რადგან ამის მერე დიდებით შევიმოსები.
შენ უნდა გაქრე, რათა საბერძნეთი განიწმინდოს,
სად მიდიხარ?
შენ თუ ჩემს დაქანცვას გააგრძელებ,
ტკბილ სიკვდილს არ გაღირსებ,
ამას უმიზეზოდ არ ვამბობ,
შენ ურჩხული ხარ,
გველი,
ქერცლი, რქები და კუდილა გაკლია
და კიდევ პირიდან ცეცხლს ვერ აფრქვევ, შე ძუ დრაკონო_
აი, სულ ეს ხარ,
მე კი შენ ბოლოს მოგიღებ
და დავბრუნდები
და მაღლა აწეული მარჯვენა ხელით
მეჭირება შენი თავი.
აი, ესეც გაიგე.
აი, რასაც გიზამ,

თუნდა სამყაროს ბოლომდე მომიწიოს შენი დევნა.
[მედეა, რომელიც ვერ პოულობს შველას ვერც ძიძის და ვერც კორინთოელი ქალების

მხრიდან, სირბილით თავს აფარებს სასახლეს, მას მისდევს მაცნე.

ხმაური და მედეას გაბმული კივილი.

ხანგრძლივი სიჩუმე.
სასახლიდან გამოდის მაცნე, რომელსაც უჭირავს მედეას მოკვეთილი თავი,
რომელსაც ტრიუმფალურად აჩვენებს ძიძას და ქალებს.]

მაცნე_ვერავითარი ოქრო ვერ გადაწონის ამას.

[ის აჩქარებით გადის.]

ძიძა_ის, რაც არასოდეს მომხდარა, ახლა მოხდა.

პირველი ქალი_ მოსახდენი მოხდა და რაც მოსახდენია,

ყველაფერი მოხდება. ვერავინ შეუშლის ხელს.

[ძიძა და ქალები გადიან ძალიან სწრაფად და ისე მიიჩქარიან ქალაქისკენ, თითქოს რაღაცას გაურბოდნენ.]

ისმის დამაყრუებელი ხმაური, ცის ჩამოქვევის მსგავსი. გამოჩნდებიან იაზონის და მედეას შვილები]

პირველი ბავშვი _ როცა მამაჩვენის ეტლით გავემგზავრეთ,
მაღე დიდ გზაზე აღმოვჩნდით,
არ ვიცოდით, სად მივდიოდით, მხოლოდ მივქროდით,
მამა არ ლაპარაკობდა, არაფერს გვეკითხებოდა,
მაგრამ ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა,
კმაყოფილები ვიყავით, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა,
ისტომოსამდე სანამ მივიდოდით, მოგვესმა მამის ყვირილი,
თავდაპირველად ვერც კი ვხვდებოდით, რას ამბობდა,
ის კი მათრახს სცემდა ცხენებს ისეთი გაშმაგებით,
რომ ეტლი ისე ირყეოდა, როგორც ზღვა დიდი ქარიშხლის დროს.
ჩვენი მასწავლებელი მაგრად გვბლუჯავდა ხელებით,
რომ ეტლიდან არ გადავცვენილიყავით და მამას ეკითხებოდა,
რად მიაქროლებდა ეტლს ყველა ჩვენგანისთვის ასე სახიფათოდ,
მაგრამ მან კიდევ უფრო ძლიერად დაიწყო ყვირილი, რომ ეთქვა,
ახლა უკვე ვხვდებოდით მის სიტყვებს, რომ ვერცერთი დრაკონი
ვერ შეაჩერებდა და რომ თუ გზიდან არ ჩამოგვშორდებოდა,
იცოდა, როგორ გაეხადა უვნებელი.
ეტლი ისე უეცარი მანევრებით მიჰქროდა,
თითქოს ცდილობდა ნებისმიერ ფასად მოიშორებინა ვიღაც,
ვინც პირდაპირ მოიწევდა ყველა ჩვენგანის გასანადგურებლად.
მასწავლებელი ცალი ხელით გვიხუტებდა,
მეორით კი ლაგამის დაჭერას ცდილობდა,
მაგრამ მამა გიჟურ ჭენებას აგრძელებდა
და გამუდმებით უყვიროდა დრაკონს,
დაენებებინა თავი, თორემ იძულებული გახდებოდა, მოეკლა იგი.
ეტლი გამუდმებით გადადიოდა სწორი გზიდან
და გამუდმებით გვეგონა, გზის ან მარჯვნივ,
ან მარცხნივ მივენარცხებოდით კლდეებს.
ეტლი ისე სწრაფად მიჰქროდა
და ისე სახიფათოდ იცვლიდა მიმართულებებს,
რომ თავზარდაცემულებმა ტირილი დავიწყეთ.
მაშინ დავინახეთ ის, ვისაც მამა უყვიროდა,
რომ მოკლავდა, თუ თავს არ დაგვანებებდა.
ჩვენ დავინახეთ, რომ პირდაპირ ჩვენკენ მოიწევდა
უზარმაზარი, მძვინვარე, საშინელქერცლებიანი,
უზარმაზარრქებიანი დრაკონი,
რომელიც ღია ხახიდან არწყევდა ცეცხლის იმხელა ალებს,
რომელთაც მთელი ქალაქის გადაწვა შეეძლოთ.
ვიდრე მამა მოასწრებდა მის ასაცილებლად
უკანასკნელი მანევრის გაკეთებას,
დრაკონმა ჩვენს ეტლს ჩაავლო თავისი კლანჭები,
ასწია ძალიან მაღლა ჩვენიანად და მერე
დაანარცხა იგი კლდეებზე და იმდენჯერ
აჯახუნა ზედ, რომ მისგან აღარაფერი დატოვა.

არც ეტლი და არც ჩვენ ოთხნი.
ახლა თუ ვინმე გაივლის იქ, ნახავს მხილოდ
ხის ნატეხებს, რკინის დაღუნულ ნაწილებს
და მთლიანად დასისხლიანებულ, დაგლეჯილ სხეულებს,
გაფანტულ ძვლებს და ვერცერთი ადამიანი,
წინათ ძალიან ახლო ნაცნობიც კი ვერ შეძლებს მათ ამოცნობას.
მეორე ბავშვი_ ჩვენ, ვინც ახლა გელაპარაკებით, ცოცხლები არა ვართ,
რომელიმე ღმერთს კი არ მოვუყვანივართ თქვენ წინაშე,
ჩვენ მხოლოდ იმიტომ მოვედით თქვენთან,
რომ გიამბოთ, როგორ დავიხოცეთ
ჩვენ ორნი, მამა და მასწავლებელი
.ერთადერთი მიზეზი ჩვენი გამოცხადებისა
არის ის სცენა_თქვენ გახსოვთ_ დედაჩვენი გვევედრებოდა,
მისთვის გვეთქვა, გვსურდა თუ არა,
რომ ის ჩვენთან ერთად წამოსულიყო.
ჩვენ არ დაველაპარაკეთ, ზურგი შევაქციეთ და სხვა მხარეს გავიხედეთ,
ჩვენ სხვა მხარეს ვიყურებოდით,
რადგან არ გვინდოდა, რომ მას ჩვენი ცრემლები დაენახა.
გადაწყვეტილი იყო მის გარეშე წასვლა
და რომ მისთვის ერთი სიტყვაც არ უნდა გვეთქვა,
რადგან ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო,
როგორც მოხდა. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ,
რომ ჩვენ, მკვდრებიც კი განუწყველად ვიტირებთ
სწორედ იმ წუთის გამო, როცა არ შემოვბრუნდით,
რათა ერთი სიტყვა,
ერთადერთი სიტყვა მაინც გვეთქვა დედაჩვენისთვის.
ახლა გვიანაა ყველა ჩვენგანისთვის
და არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება,
მაგრამ ჩვენც ისე დავიხოცეთ, იმაზე
ნაკლებად საწყალობელი და უბადრუკი
არ არის, დედაჩვენი რომ გვიპირებდა.
ჩვენს საფლავზე, რომელიც უკვე არ არსებობს,
არავის ხელი არ დათესავს ჟასმინებს,
მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია,
რადგან ყველაფერი დამთავრდა,
და თქვენთვის სხვა რამ სათქმელი არ დაგვრჩენია.

[დასასრული]

მოკლე ინფორმაცია ავტორზე_ დიმიტრის დიმიტრიადისი დაიბადა 1944 წელს თესალონიკში. წერს ბერძნულად და ფრანგულად. მისი პიესები იდგმება არა მარტო საბერძნეთში, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყანაში. დრამატურგიის გარდა აქტიურად მუშაობს პროზაში. აგრეთვე, ბერძნულად თარგმნის ფრანგული პოეზიის ნიმუშებს. არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრიზის მფლობელი.

მოკლე ინფორმაცია მთარგმნელზე_ ბადრი თევზაძე დაიბადა 1955 წელს ბათუმში. ტელეფონი_ 599-72-38-81. პირადი ნომერი 01029000763.

